სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2014 წლის სტრატეგიული გეგმა

მთარგმნელობითი ცენტრის 2014 წლის სტრატეგიული მიზნებია:

1) ქართული საკანონმდებლო აქტების ინგლისურად თარგმნა, სისტემატიზაცია და ადმინისტრირება (წლის ბოლოსთვის დაახლოებით 100 აქტის ხელმისაწვდომობა მაცნეს ინგლისურენოვან ვებგვერდზე)
2) ტერმინოლოგიური მუშა ჯგუფის შექმნის ორგანიზება და მისი მუშაობის კოორდინაცია
3) სარედაქციო ჯგუფის მიერ შემუშავებული ინგლისურენოვანი სტილის სახელმძღვანელოს დახვეწა და განვრცობა
4) 2014 წლის მეორე ნახევარში, ევროკავშირის კანონმდებლობის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის დაწყება
5) ცენტრის თანამშრომლებისთვის (რედაქტორები, მთარგმნელები) ადგილობრივი ტრენინგების უზრუნველყოფა

პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2014 წლისათვის

1) საკანონმდებლო მაცნეს სისტემური უსაფრთხოებისთვის საჭირო საკითხების შესრულება/დანერგვა;
2) მაცნეს ვებგვერდის პროგრამული მხარის განახლება;
3) დოკუმენტის კონსოლიდირებული ვერსიების ტექსტობრივი შედარების ფუნქციონალის შექმნა/დანერგვა;
4) თემატური გამოწერის დახვეწა და მომხმარებლებისთვის მიწოდება;
5) მასობრივი წერილების გაგზავნის ფუნქციონალის შექმნა და სისტემაში ინტეგრირება;
6) მაცნეს ვებგვერდის რედიზაინი;
7) მობილური აპლიკაციის შექმნა
8) მომხმარებლებისთვის ვებგვერდზე კანონების კონსოლიდირებული ვერსიების ნახვის გამარტივება, რეგისტრაციის მოხსნის გზით.

ბეჭდური სამსახურის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2014 წლისათვის

1) საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, იურიდიული თემატიკის სახელმძღვანელოების გამოცემის უზრუნველყოფა.
2) საკანონმდებლო მაცნეს ბრენდირებული მაღაზიის გახსნა.
3) საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება, სასწავლო პროცესების უზრუნველსაყოფად იურიდიული თემატიკის სახელმძღვანელოების ბეჭდვა და მიწოდება
4) სასტამბო ტექნიკის განახლება მაღალპოლიგრაფიული და მრავალფუნქციური შეკვეთების უზრუნველსაყოფად.